

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №368
2024 წლის 12 ნოემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში (ვებგვერდი, 30/08/2019, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.017230) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №1) მე-40 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, გააუქმოს პირის TIR პროცედურაზე დაშვება:

ა) თუ ამ ინსტრუქციის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განხორციელებული კონტროლის შედეგად დადგინდა, რომ TIR პროცედურაზე დაშვებული პირი ველარ აკმაყოფილებს ამ ინსტრუქციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის:

ა.ა) „დ.ა“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ერთ-ერთ მოთხოვნას;

ა.ბ) „დ.ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნას (გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება ან „საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება);

ბ) „TIR კონვენციის“ სხვა ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური უწყებებიდან ან/და ეროვნული საგარანტიო ასოციაციიდან მიღებული მოთხოვნის შემთხვევაში.“;

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის პირს საბაჟო ორგანოს წერილობითი შეტყობინებით ეძლევა 45 კალენდარული დღის ვადა აღიარებული საგადასახადო დავალიანების დასაფარად. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობის შემთხვევაში (გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ამ აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება ან „საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება), მიიღება გადაწყვეტილება TIR პროცედურაზე დაშვების გაუქმების შესახებ.“.

2. „გარანტიის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №4) პირველი მუხლის:

ა) მე-9 პუნქტის „ბ¹“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„ბ¹) დეპოზიტი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სახაზინო სამსახურში (სახელმწიფო ხაზინაში) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სადეპოზიტო ანგარიშზე (სახაზინო კოდი – 302006000) გარანტიის სახით სათანადო თანხის (დეპოზიტი) შეტანა, რაც დასტურდება სახელმწიფო ხაზინის ცნობით;“;

ბ) მე-14 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სახაზინო სამსახურის მიერ გაცემული ცნობა სახელმწიფო ხაზინაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სადეპოზიტო ანგარიშზე (სახაზინო კოდი – 302006000) თავდებობის თანხის (დეპოზიტი) შეტანის შესახებ ან/და“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

